დანართი No. 3

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

კიბერსივრცის ოპერაციების და ინფორმაციის უსაფრთხოების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი: 04.05.2026

დასკვნის წარდგენის თარიღი: 11.06.2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 9

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 11

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 11

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 20

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 27

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 31

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 40

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ [1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218083222
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სოკრატის კათსიკასი, ნორვეგიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, ნორვეგია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარიამ რაზმაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო პატარაია, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი მხეიძე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	კიბერსივრცის ოპერაციები და ინფორმაციის უსაფრთხოება
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Cyberspace Operations and Information Security Bachelor's Degree Program
უმაღლესი განათლების საფეხური / პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	კიბერუსაფრთხოების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

[2]უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ - ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3]მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ შემუშავებული კიბერსივრცის ოპერაციების და ინფორმაციის უსაფრთხოების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია. პროგრამა შემუშავებულია საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამების (სასწავლო გეგმების) ჩამონათვალის საფუძველზე, რომელთა განხორციელების უფლებაც მიენიჭა სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნულ თავდაცვის აკადემიას (2026 - 2027 სასწავლო წლისათვის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საგანმანათლებლო პროგრამების (კურიკულუმების) მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდებით / სამაგისტრო გამოცდებით და ერთიანი ეროვნული გამოცდების / სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების შესახებ). აღსანიშნავია, რომ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საბაკალავრო პროგრამების მთავარი დაინტერესებული მხარე და კურსდამთავრებულთა ძირითადი დამსაქმებელია საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სამინისტროს მოთხოვნების, ინტერესების და პრიორიტეტების გათვალისწინებით, რაც აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის წამოწყების ძირითად საფუძველს წარმოადგენს. საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე არსებული თანამედროვე გამოწვევები საჭიროებს ისეთი ოფიცრების მომზადებას, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფართო თეორიული ცოდნით და კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში ძირითადი პრაქტიკული უნარებით. არსებული პრაქტიკის შესაბამისად, დამსაქმებელი რეგულარულად მონაწილეობს პროგრამის შემუშავების და განვითარების პროცესებში. დაწესებულება სასწავლო გეგმის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე და აკადემიური საბჭოს მიერ მის დამტკიცებამდე საბოლოო ვერსიას განსახილველად წარუდგენს დაინტერესებულ მხარეებს. პროგრამა შეესაბამება საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მისიას და სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებს. აკადემიის მისიასთან თანხვედრაში, პროგრამის მიზანია გააძლიეროს ეროვნული უსაფრთხოება და გაუმკლავდეს თანამედროვე ტექნოლოგიურ საფრთხეებს კიბერსივრცეში მზარდი რისკების გათვალისწინებით. პროგრამა მიმართულია სტრატეგიული მიზნების განხორციელებისკენ, რომლებიც ფოკუსირებულია თავდაცვის სექტორში ინოვაციური ცოდნის განვითარებაზე, ტექნოლოგიური შესაძლებლობების გაძლიერებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაზე. პროგრამა შეესაბამება აკადემიის უმთავრეს მიზანს: მოამზადოს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და პასუხისმგებლობის მქონე სპეციალისტები ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემისთვის, რომლებიც შეძლებენ ეფექტურად გადაჭრან ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში არსებული თანამედროვე გამოწვევები. გარდა ამისა, სასწავლო გეგმა პასუხობს ეროვნული და საერთაშორისო შრომის ბაზრების მზარდ მოთხოვნებს. პროგრამაში აქცენტი კეთდება უწყვეტ განვითარებაზე და მიმდინარე სიახლეებზე, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას აკადემიის სტრატეგიულ ხედვასთან და უსაფრთხოების სწრაფად ცვალებად გარემოსთან. საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ცოდნის და უნარების ფართო სპექტრს, ხელს უწყობს კიბერუსაფრთხოების საფუძვლების, სტანდარტების, თეორიების და პრინციპების სიღრმისეულ გაცნობიერებას. ასევე, საბაკალავრო პროგრამა ამზადებს იუნკრებს სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი 2026 წლის 4 მაისს განხორციელდა, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა და ჩაატარა ინტერვიუები დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე შეხვედრებს ესწრებოდა ონლაინ რეჟიმში. ინტერვიუების და მატერიალურ - ტექნიკური ბაზის დათვალიერების დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის დახურული შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტების და კომპონენტების მოთხოვნებთან. დღის ბოლოს თავმჯდომარემ აკადემიის ხელმძღვანელობას წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფის პირველადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის კიბერსივრცის ოპერაციების და ინფორმაციის უსაფრთხოების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

არ ეხება

- **რჩევები**

კომპონენტი 1.5 სასურველია, სასწავლო რესურსების გაძლიერების მიზნით, ძირითად სასწავლო მასალებს დაემატოს ქართულენოვან ბაზარზე ხელმისაწვდომი კიბერუსაფრთხოების ორი სახელმძღვანელო. გარდა ამისა, სასურველია სტუდენტების სასწავლო პროცესის უწყვეტი მხარდაჭერის მიზნით, უზრუნველყოფილ იქნეს ეგრეთ წოდებული რიდერების და დამხმარე რესურსების გამოყენება, ასევე მრავალფეროვან პრაქტიკულ თუ თეორიულ მასალებზე წვდომა.

სახელმძღვანელოების ჩამონათვალი:

1. "კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლები" — დაჩი კეთილაძე, ბებთუ ფიფია — 2025 წ.
2. "კიბერუსაფრთხოების გამოწვევები, კონცეფციები და პრაქტიკა" — ნანი არაბული, ლადო ადამია, ზაზა ცირამუა — 2024 წ.

კომპონენტი 4.1.1: სასურველია, მეორე, მესამე და მეოთხე სემესტრებში, დაწესებულებამ განიხილოს მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალს შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის წილის შემდგომი გაძლიერება, განსაკუთრებით კიბერსივრცის ოპერაციების, კიბერუსაფრთხოების, ინფორმაციის უსაფრთხოებისა და მათთან მომიჯნავე დისციპლინების მიმართულებით.

კომპონენტი 4.1.2 სასურველია, პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, აკადემიური პერსონალის დატვირთვის ბალანსის და პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, პირველი სემესტრის შემდეგ ჩატარდეს აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის განაწილების სტრუქტურირებული გადახედვა და განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მათ სასწავლო და პროფესიულ ვალდებულებებზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კომპონენტი 4.4.1 სასურველია, პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე უზრუნველყოფილ იქნეს წვდომა ქართულენოვან ბაზარზე კიბერუსაფრთხოების სფეროში არსებულ მაღალი ხარისხის მქონე სახელმძღვანელოებზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

არ ეხება

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დაწესებულება დაეთანხმა დასკვნას და შესაბამისად, რჩება უცვლელი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:**

  - პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური / სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

    პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილი იქნება 18 თანამშრომლის მიერ, მათ შორის არის 6 აკადემიური, 7 მოწვეული და 5 სამეცნიერო პერსონალის წევრი და 1 საერთაშორისო აკადემიური პირი. 6 თანამშრომელი ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს შესაბამისი დარგობრივი მიმართულებით მათ შორის: 3 აკადემიური, 2 მოწვეული და 1 სამეცნიერო თანამშრომელი. პროგრამა ძირითადად დაკომპლექტებულია აფილირებული აკადემიური პერსონალით, ვინაიდან აკადემიური პერსონალის ექვსივე წევრი აფილირებულია დაწესებულებასთან. აკადემიური / სამეცნიერო (11) და მოწვეული პერსონალის (7) თანაფარდობა ადასტურებს, რომ განხორციელების საწყის ეტაპზე პროგრამაში ჩართული იქნება საკმარისი რაოდენობის აკადემიური და ადამიანური რესურსი. პროგრამის განხორციელებაში აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალის მონაწილეობა ხელს შეუწყობს საწყის ეტაპზე მის ეფექტურ განხორციელებას.

  - სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

ვინაიდან პროგრამა ჯერ არ ხორციელდება არ არის წარმოდგენილი საკმარისი ინფორმაცია აღნიშნულ ინდიკატორებთან დაკავშირებით.

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

ვინაიდან პროგრამა ჯერ არ ხორციელდება არ არის წარმოდგენილი საკმარისი ინფორმაცია აღნიშნულ ინდიკატორებთან დაკავშირებით.

- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით

  ვინაიდან პროგრამა ჯერ არ ხორციელდება არ არის წარმოდგენილი საკმარისი ინფორმაცია აღნიშნულ ინდიკატორებთან დაკავშირებით.
- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

  მომდევნო 4 წლის პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი აჩვენებს, რომ პროგრამა მხარდაჭერილია აკადემიის მიერ. ბიუჯეტიდან პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები მიზანშეწონილია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

არ ეხება

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	**შესაბამისობაშია**
1.1	პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია**
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია**
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია**
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაშია**
1.5	სასწავლო კურსი / საგანი	**შესაბამისობაშია**
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**შესაბამისობაშია**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია**
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია**
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაშია**
2.4	სტუდენტების შეფასება	**შესაბამისობაშია**
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	**შესაბამისობაშია**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	**შესაბამისობაშია**
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	**აირჩიეთ შესაბამისი**
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსი	**შესაბამისობაშია**
4.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	**აირჩიეთ შესაბამისი**
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია**
4.4	მატერიალური რესურსი	**შესაბამისობაშია**
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია**
5	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**შესაბამისობაშია**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია**
5.2	გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია**
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შესაბამისობაშია**

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში / დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე

შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები მკაფიო თანხვედრაშია აკადემიის, როგორც ქვეყნის ერთადერთ უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატთან. აღნიშნულ პროგრამას საკუთარი წვლილი შეაქვს ეროვნულ უსაფრთხოებაში ისეთი ოფიცრების მომზადებით, რომლებიც შეძლებენ „თანამედროვე ტექნოლოგიური საფრთხეების, განსაკუთრებით კიბერსივრცეში მზარდი რისკების კონტექსტში" არსებულ გამოწვევებზე რეაგირებას. აღნიშნული პირდაპირ შეესაბამება აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმას და თავდაცვის სამინისტროს ფუნქციონირების საჭიროებებს.

მიზნები ასახავს კიბერუსაფრთხოების და კიბერსივრცის ოპერაციების სფეროს სპეციფიკას და მოიცავს როგორც თეორიულ, ისე გამოყენებით განზომილებებს. პროგრამის მიზანია:

- აღჭურვოს კურსდამთავრებულები "კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში ყოვლისმომცველი თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით".
- შეასწავლოს „კომპიუტერული სისტემების და გამოთვლითი გარემოს დიზაინის, შემუშავების და უსაფრთხოების თანამედროვე მეთოდები".
- განავითაროს კურსდამთავრებულებში ანალიტიკური, პრობლემის გადაჭრის და კომუნიკაციის უნარები.
- გამოუმუშავოს მათ პროფესიული პასუხისმგებლობის და ეთიკური გადაწყვეტილების მიღების უნარი.

აღნიშნული მიზნები ადგენენ პროგრამის ფარგლებში განსავითარებელ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს.

პროგრამა მკაფიოდ პასუხობს საქართველოს თავდაცვის ძალების მოთხოვნებს, რომელიც წარმოადგენს კურსდამთავრებულთა ძირითად დამსაქმებელს. შესაბამისად, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს როგორც ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ისე საერთაშორისო ტენდენციებს.

პროგრამის მიზნებში ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი ასახულია NATO DEEP მეთოდოლოგიებთან შესაბამისობის, ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ხაზგასმის, კიბერუსაფრთხოების განათლებაში საერთაშორისო სტანდარტების და პრაქტიკების ინტეგრირებით.

პროგრამის მიზნები საჯაროა და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიის ვებ - გვერდი: www.eta.edu.ge
- ინტერვიუები

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგები მკაფიოდ დაკავშირებულია პროგრამის მიზნებთან და ხელს უწყობს მათ განხორციელებას. მაგალითად, სწავლის შედეგები, როგორიცაა:

- "ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფუნდამენტური ცოდნის სფეროებში ძირითადი პრობლემების გამოვლენა",
- "უსაფრთხოების პრინციპების და პრაქტიკების გამოყენება ოპერაციების შენარჩუნების და მხარდაჭერის მიზნით, მაღალი რისკის და საფრთხის შემცველ გარემოში",
- "ეფექტური კომუნიკაციის წარმართვა კიბერუსაფრთხოების სხვადასხვა პროფესიულ კონტექსტში",
- "ეფექტური მუშაობის ჩვენება გუნდის წევრის და ლიდერის როლში"

მხარს უჭერს პროგრამის მიზნებს მოამზადოს ოფიცრები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ძლიერი თეორიული ცოდნით, კიბერუსაფრთხოების პრაქტიკული უნარებით, ლიდერობის შესაძლებლობებით და ეთიკური პასუხისმგებლობის გრძნობით.

სწავლის შედეგები მოიცავს ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

სწავლის შედეგები აჩვენებს მე-6 დონის მახასიათებლებს, კერძოდ, ცოდნას (ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძვლები, კიბერუსაფრთხოების პრინციპები, საოპერაციო დაგეგმვა), უნარებს (ანალიზი, პრობლემის გადაჭრა, სისტემების შემუშავება, კომუნიკაცია) და ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას (ეთიკური გადაწყვეტილების მიღება, ლიდერობა, დამოუკიდებელი სწავლა). შესაბამისად, სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტურია და შესაბამისობაშია კვალიფიკაციის აღმწერებთან.

სწავლის შედეგებში ასახულია პროგრამის ორმაგი ბუნება: კიბერუსაფრთხოების განათლება და სამხედრო ოფიცრის მომზადება. ისეთი სწავლის შედეგები, როგორიცაა „ოცეულის დონეზე განმარტავს სარდლობის პრინციპებს, მათ შორის საოპერაციო დაგეგმვის და განხორციელების საფუძვლებს" და „ოცეულის დონეზე გეგმავს და ახორციელებს სახმელეთო ოპერაციების სხვადასხვა სახეობას", ადასტურებს შესაბამისობას თავდაცვის ძალების ოპერაციების საჭიროებებთან. ამავდროულად ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან, კიბერუსაფრთხოებასთან და სისტემების შემუშავებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგები უზრუნველყოფენ პროგრამის აქტუალობას კიბერუსაფრთხოების შრომის ბაზარზე.

სწავლის შედეგები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების (თავდაცვის სამინისტრო, თავდაცვის ძალები) და ადმინისტრაციულ პოზიციებზე მომუშავე კურსდამთავრებულების ჩართულობით.

სწავლის შედეგები გაზიარებულია აკადემიის ვებ-გვერდის, საინფორმაციო შეხვედრების და E-mod ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისობის მატრიცა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიის ვებ - გვერდი: www.eta.edu.ge
- ინტერვიუები

[რეკომენდაციები](#).

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში გამოყენებული იქნება ოთხწლიანი შეფასების ციკლი:

- პირველი წელი: სწავლის შედეგების განსაზღვრა, სასწავლო გეგმის რუკის და შეფასების გეგმის შემუშავება
- მეორე წელი: მონაცემების შეგროვება
- მესამე წელი: სწავლის შედეგების შეფასება და გასაუმჯობესებელი ღონისძიებების დაგეგმვა
- მეოთხე წელი: გაუმჯობესებების განხორციელება და მონაცემების შეგროვების გაგრძელება

აკადემია იყენებს პირდაპირი მეთოდების (წერითი გამოცდები, პრეზენტაციები, ესეები, პრაქტიკული შეფასებები, მოსწრების მონიტორინგი) და არაპირდაპირი მეთოდების (დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტების გამოკითხვები, გარე შეფასებები, პროგრამის ანალიზი) დაბალანსებულ კომბინაციას.

გაზომვადობის უზრუნველსაყოფად სწავლის შედეგები ფორმულირებულია ბლუმის ტაქსონომიის აქტიური ზმნების გამოყენებით. პროგრამის გამორჩეული ძლიერი მხარეა კირკპატრიკის მოდელის

გამოყენება, რომელიც დამტკიცდა NATO DEEP - თან თანამშრომლობის ფარგლებში სასწავლო აქტივობების, შეფასების დავალებების და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული განსხვავდება ეროვნული პრაქტიკისგან და ადასტურებს მეთოდოლოგიურ სიმკაცრეს.

აკადემია აანალიზებს ქულების განაწილებას, შეფასების სირთულის დონეს, შეფასების მეთოდების ვალიდურობას და სტუდენტების მოსწრების ტენდენციებს. მონიტორინგის ფარგლებში გამოიყენება გაუსის განაწილება. 20% - ზე მეტი გადახრა იწვევს შეფასების მეთოდების და სწავლის შედეგების გადახედვას.

თითოეული სწავლის შედეგისთვის შემუშავებულია სამიზნე ნიშნულები და ყოველწლიურად ხდება სწავლის შედეგების შედარება აღნიშნულ სამიზნე ნიშნულებთან.

შეფასების პროცესში მონაწილეობენ დამსაქმებლები (თავდაცვის სამინისტრო, თავდაცვის ძალები), კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები (იუნკრები) და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მოწვეული გარე შემფასებლები.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ხელმისაწვდომია მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ იწვევს შეფასების შედეგები გაუმჯობესებებს:

- შეფასების ზღვრების გადახედვა (მაგალითად, შუალედური გამოცდის კომპეტენციის მოთხოვნების ამაღლება),
- სილაბუსების და შეფასების რუბრიკების განახლება,
- სწავლების მეთოდების მოდიფიცირება,
- ახალი სასწავლო მოდულების შემუშავება (მაგალითად, „ეფექტური სწავლება", ToT),
- დისტანციური სწავლების შეფასების სანდოობის გაძლიერება.

შეფასების მექანიზმები აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში, სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში და პროგრამის შესაბამისობის მატრიცებში. აღნიშნული მექანიზმები ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და შეფასების მეთოდლოგია;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები.

[რეკომენდაციები](#).

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერების, პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარების და ანალიზის (0613) დეტალური სფეროს აღმწერის, ECTS - ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების პრინციპების და საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის, დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასების და დამტკიცების წესების და მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამას აქვს მკაფიო და ლოგიკური სტრუქტურა და აერთიანებს კიბერუსაფრთხოების და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ძირითად კურსებს, სპეციალობის არჩევით კურსებს, სამხედრო მომზადების კომპონენტებს და პრაქტიკულ კომპონენტს (3+1 მოდელი). აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს ცოდნის და უნარების პროგრესულ განვითარებას, თეორიული და

პრაქტიკული სწავლების ინტეგრაციას, სასწავლო კურსის დონის და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობას, აგრეთვე სასწავლო კურსების სათანადო თანმიმდევრობას და წინაპირობებს.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კიბერუსაფრთხოების ბაკალავრი) სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო გეგმა მოიცავს როგორც ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების/კიბერუსაფრთხოების აკადემიურ კომპონენტებს, ასევე სამხედრო ლიდერობის კომპონენტებს, რაც ასახავს კვალიფიკაციის ორმაგ ხასიათს თავდაცვის აკადემიის კონტექსტში.

პროგრამის განმასხვავებელი მახასიათებელია მისი ორმაგი შესაბამისობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოთხოვნებთან (აკადემიური მოთხოვნები) და თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნებთან (სამხედრო ოფიცრის მომზადების მოთხოვნები). აღნიშნული უზრუნველყოფს სამხედრო მომზადების ინტეგრაციას (ტაქტიკა, ტოპოგრაფია, კავშირგაბმულობა, ლიდერობა) და თანხვედრას ეროვნული თავდაცვის საჭიროებებთან და განათლების პირველი საფეხურის ხარისხის აკადემიურ სტანდარტებთან.

პროგრამა მოიცავს კიბერუსაფრთხოების თანამედროვე თემებს, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თანამედროვე ინსტრუმენტებს და მეთოდებს, NATO - სთან შესაბამის პედაგოგიურ და სასწავლო პრაქტიკებს, საერთაშორისო ლიტერატურას და რესურსებს, აგრეთვე უცხოურ პროგრამებთან შედარებას.

პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დამსაქმებლები (თავდაცვის ძალები), კურსდამთავრებულები და ადმინისტრაციული თანამშრომლები.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ, მათ შორის სტრუქტურა, შინაარსი და სილაბუსები, გამოქვეყნებულია აკადემიის ვებ - გვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის შესაბამისობის მატრიცები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების და შეფასების მეთოდოლოგია;
- აკადემიის ვებ - გვერდი: https://eta.edu.ge/
- ინტერვიუები

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კურსის სწავლის შედეგებს, პროგრამის სწავლის შედეგებს და სწავლების და შეფასების მეთოდებს შორის შესაბამისობის დასადასტურებლად პროგრამის ფარგლებში გამოიყენება შესაბამისობის მატრიცა (პროგრამის რუკა). აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ თითოეული სასწავლო კურსი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის საერთო მიზნებს, რაც გამორიცხავს გამეორებებს და ხარვეზებს და უზრუნველყოფს მკაფიო პროგრესიას საბაზისო კომპეტენციებიდან მოწინავე კომპეტენციებამდე.

პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რაც შეესაბამება განათლების პირველი საფეხურის ეროვნულ მოთხოვნებს. კრედიტების განაწილება ასახავს თითოეული კურსის მოცულობას, სირთულეს და სასწავლო დატვირთვას. საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები სათანადოდ არის დაბალანსებული, ხოლო პრაქტიკული და თეორიული კომპონენტები კურსის მიზნების პროპორციულია.

თითოეული კურსი მოიცავს სწავლის შედეგების შესაბამის შეფასების კომპონენტებს. შეფასების მეთოდები მოიცავს წერით გამოცდებს, პრაქტიკულ დავალებებს, პრეზენტაციებს, ესეებს და მოსწრების მონიტორინგს, ხოლო სტუდენტთა მიღწევების კლასიფიცირებისთვის გამოიყენება შეფასების რუბრიკები. სტუდენტები უკუკავშირს იღებენ Moodle - ის და ლექტორებთან კონსულტაციების მეშვეობით.

სილაბუსები მოიცავს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურას. საერთაშორისო ელექტრონული მონაცემთა ბაზებზე წვდომას უზრუნველყოფილია აკადემიის ბიბლიოთეკაში. სასწავლო მასალები ასახავს კიბერუსაფრთხოების და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროს თანამედროვე მიღწევებს, ხოლო სამხედრო მიმართულების კურსებში გამოიყენება NATO - სთან შესაბამისი სასწავლო მასალები.

თითოეული სილაბუსი შედგენილია დაწესებულების მიერ დამტკიცებული სტანდარტიზებული შაბლონის მიხედვით, რომელიც მოიცავს კურსის აღწერას, სწავლის შედეგებს, სწავლება - სწავლის მეთოდებს, შეფასების კომპონენტებს და კრიტერიუმებს, ლიტერატურას და რესურსებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები

[რეკომენდაციები](#)

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, სასწავლო რესურსების გაძლიერების მიზნით, ძირითად სასწავლო მასალებს დაემატოს ქართულენოვან ბაზარზე ხელმისაწვდომი კიბერუსაფრთხოების ორი სახელმძღვანელო. გარდა ამისა, სასურველია სტუდენტების სასწავლო პროცესის უწყვეტი მხარდაჭერის მიზნით, უზრუნველყოფილ იქნეს ეგრეთ წოდებული რიდერების და დამხმარე რესურსების გამოყენება, ასევე მრავალფეროვან პრაქტიკულ თუ თეორიულ მასალებზე წვდომა.

სახელმძღვანელოების ჩამონათვალი:

1. "კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლები" — დაჩი კეთილაძე, ბებთუ ფიფია — 2025 წ.
2. "კიბერუსაფრთხოების გამოწვევები, კონცეფციები და პრაქტიკა" — ნანი არაბული, ლადო ადამია, ზაზა ცირამუა — 2024 წ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

1.5. სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების მკაფიო, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი მოთხოვნები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს და სამხედრო განათლების სპეციფიკურ ბუნებას. მიღების პროცედურები საჯაროდ ხელმისაწვდომია აკადემიის ვებ - გვერდის და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს ყველა ინფორმაციაზე თანაბარ წვდომას. პროგრამა ეროვნული გამოცდების მოთხოვნებს აერთიანებს შიდა შესარჩევ პროცედურებთან, რომელიც მოიცავს სამედიცინო შემოწმებას, ფიზიკური მომზადების ტესტირებას, გასაუბრებას და საბაზო საბრძოლო მომზადების წარმატებით დასრულებას. აღნიშნული პროცედურები ეხმარება აკადემიას შეარჩიოს მოტივირებული და კვალიფიციური კანდიდატები, რომლებიც შეძლებენ სწავლის წარმატებით გაგრძელებას და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

აკადემია ასევე ახორციელებს აქტიურ საკომუნიკაციო და საზოგადოებასთან ჩართულობის ღონისძიებებს, მათ შორის გაცნობით შეხვედრებს სკოლებში, კომუნიკაციას სოციალური მედიის მეშვეობით, მონაწილეობს საგანმანათლებლო გამოფენებში და აწყობს საზაფხულო სკოლებს. აღნიშნული ინიციატივები ზრდის პროგრამის ხილვადობას და ხელს უწყობს სტუდენტების სამართლიან და ინფორმირებულ რეკრუტირებას.

აკადემიამ შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტების (იუნკრების) რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სამხედრო პროგრამის სპეციფიკას, საქართველოს თავდაცვის ძალების ოპერაციების საჭიროებებს და პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის საჭირო ინსტიტუციურ რესურსებს. სტუდენტთა კონტინგენტი იგეგმება საქართველოს მთავრობის მიერ

დამტკიცებული კვოტების შესაბამისად და უზრუნველყოფს შეუფერხებელ საგანმანათლებლო პროცესს, მათ შორის აკადემიური, ადამიანური და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობას. პროგრამაზე სტუდენტების მიღება ხორციელდება დაწესებულების მიერ დამტკიცებული სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

საერთო ჯამში, პროგრამაზე მიღების მოთხოვნები კარგად არის განსაზღვრული, სამართლიანია, გამჭვირვალე და შეესაბამება პროგრამის შინაარსს და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს.
პროგრამას განსაზღვრული აქვს მკაფიო და გამჭვირვალე მიღების მოთხოვნები, რომლებიც სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და თავდაცვის აკადემიის საჭიროებებს. მიღების პროცედურები საჯაროა და ხელმისაწვდომია აკადემიის ვებ - გვერდის და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველების შერჩევა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების და შიდა შესარჩევი პროცედურების მეშვეობით, მათ შორის სამედიცინო შემოწმების, ფიზიკური მომზადების ტესტირების, გასაუბრების და საბაზო საბრძოლო მომზადების ჩაბარებით. პროგრამაში მიღების მოთხოვნები უზრუნველყოფს, რომ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს ექნებათ სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ცოდნა, უნარები და მოტივაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- იუნკერების რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- აკადემიის ვებ - გვერდი www.eta.edu.ge
- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლოდა ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა მოიცავს ფართომასშტაბიან პრაქტიკულ მომზადებას, რომელიც ხორციელდება კიბერუსაფრთხოების ლაბორატორიებში, ICT სისტემების კონფიგურაციისა და ადმინისტრირების პრაქტიკულ სავარჯიშოებში, ქსელური უსაფრთხოებისა და შეღწევადობის ტესტირების მოდულებში, სიმულაციაზე დაფუძნებულ სასწავლო გარემოები, ასევე სამხედრო-საველე წვრთნებსა და საოპერაციო სავარჯიშოებში ოცეულის დონეზე. პრაქტიკული კომპონენტები შესაბამისობაშია თავდაცვის ძალების საოპერაციო საჭიროებებთან. პრაქტიკულ კომპონენტებს ხელმძღვანელობენ აკადემიური პერსონალი, კიბერუსაფრთხოების მოწვეული სპეციალისტები, სამხედრო ინსტრუქტორები და თავდაცვის ძალების საველე ოფიცრები.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პირველი საფეხურის პროგრამას წარმოადგენს, აკადემია კვლევასთან დაკავშირებულ კომპეტენციებს ისეთი სასწავლო დავალებების საშუალებით აერთიანებს, რომლებიც მოითხოვს ანალიტიკური ესეების, შემთხვევის შესწავლისა და ტექნიკური ანგარიშების მომზადებას, კიბერუსაფრთხოების კვლევის მეთოდოლოგიებთან გაცნობას, აკადემიის მიერ ორგანიზებულ სემინარებსა და აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობას, საერთაშორისო ლიტერატურასა და მონაცემთა ბაზებთან მუშაობას, ასევე მცირე მასშტაბის კვლევით ან გამოყენებით პროექტებში წვლილის შეტანის შესაძლებლობას.

პროგრამა სისტემურად ავითარებს ტრანსფერულ უნარებს, რომლებიც არსებითია კიბერუსაფრთხოების როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო კარიერისთვის. მათ შორისაა კომუნიკაციის უნარები - წერითი, ზეპირი და ტექნიკური კომუნიკაცია; გუნდური მუშაობა და ლიდერობა, მათ შორის მართვის კომპეტენციები ოცეულის დონეზე; ეთიკური გადაწყვეტილების მიღება და პროფესიული პასუხისმგებლობა; კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება; პრობლემების გადაჭრა და კრიტიკულ პირობებში გადაწყვეტილების მიღება; დროის მართვა და თვითმართვადი სწავლა.

აკადემიას ძლიერი ინსტიტუციური კავშირები აქვს თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალებთან, რომლებიც პრაქტიკის ძირითად გარემოს წარმოადგენენ. პროგრამა შემუშავდა „თავდაცვის ძალებთან მჭიდრო თანამშრომლობით“ და დამსაქმებელთა ჩართულობა უწყვეტი და სისტემურია.

სტუდენტები (იუნკერები) მონაწილეობენ სამხედრო წვრთნებსა და საველე ოპერაციებში, კიბერუსაფრთხოების კონკურსებსა და სიმულაციებში, აკადემიის შიდა ღონისძიებებსა და სემინარებში, ასევე NATO DEEP-ის მეთოდოლოგიებთან შესაბამისობაში მყოფ სასწავლო აქტივობებში. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს როგორც პრაქტიკული, ისე ტრანსფერული უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემია პროგრამის სწავლის შედეგებს, სწავლება-სწავლის აქტივობებსა და შეფასების მეთოდებს კირკპატრიკის მოდელის საშუალებით უსადაგებს ერთმანეთს, რაც აძლიერებს სტუდენტზე ორიენტირებულ დიზაინსა და კონსტრუქციულ შესაბამისობას. პროგრამაში მკაფიოდ ჩანს სტუდენტზე

ორიენტირებული სწავლების მიმართულებით ძალისხმევა, აქტიური სასწავლო სტრატეგიების, პრაქტიკული და სიმულაციაზე დაფუძნებული სავარჯიშოების, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, თანამშრომლობითი ჯგუფური მუშაობისა და, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების გამოყენებით.

სწავლების მეთოდები მრავალფეროვანია და მორგებულია თითოეული სასწავლო კურსის ბუნებაზე. აღნიშნული მეთოდები მოიცავს ლექციებსა და ინტერაქტიულ სემინარებს თეორიული საფუძვლების შესასწავლად; ლაბორატორიულ მუშაობას კიბერუსაფრთხოების ინსტრუმენტების, ქსელური კონფიგურაციისა და სისტემების ადმინისტრირების მიმართულებით; შემთხვევის შესწავლასა და სცენარზე დაფუძნებულ სწავლებას კიბერინციდენტების ანალიზისთვის; სიმულაციებსა და საველე წვრთნებს სამხედრო და საოპერაციო კომპონენტებისთვის; სამუშაო სემინარებსა და დემონსტრირებას გამოყენებითი ICT უნარებისთვის; კოლეგიალურ სწავლებასა და ჯგუფურ პროექტებს გუნდური მუშაობისა და კომუნიკაციის განვითარებისათვის; ასევე დამოუკიდებელ სწავლებას, რომელიც მხარდაჭერილია Moodle-ითა და ციფრული რესურსებით.

აკადემია ფართოდ იყენებს ციფრულ პლატფორმებსა და ინსტრუმენტებს, მათ შორის Moodle-ს სასწავლო მასალებისთვის, დავალებებისა და უკუკავშირისთვის; კიბერუსაფრთხოების ლაბორატორიებსა და ვირტუალიზებულ გარემოებს; ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას E-mod-ს; ასევე NATO-ს მოთხოვნების შესაბამის სიმულაციურ ინსტრუმენტებს ოპერაციული მომზადებისთვის.

პროგრამა მოქნილია სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების კუთხით. სტუდენტები რეგულარულად იღებენ კონსულტაციებს, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო მხარდაჭერაც, ხოლო სწავლების მეთოდები მორგებულია სტუდენტების მზაობასა და აკადემიურ მოსწრებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ქართულ ენაზე ხორციელდება და, ძირითადად, თავდაცვის ეროვნულ პერსონალს ემსახურება, გამოიყენება საერთაშორისო ლიტერატურა და რესურსები; ინტეგრირებულია NATO-ს მოთხოვნების შესაბამისი მეთოდოლოგიები; ხოლო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულების მომზადება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- კურსის სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები

[რეკომენდაციები](#).

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შეფასების სისტემა რეგულირდება ინსტიტუციური მარეგულირებელი დოკუმენტებით, რომელიც მოიცავს, შეფასების სისტემასა და გამოცდების ჩატარების წესს; საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორებსა და წესს; ასევე საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას. აღნიშნული დოკუმენტები უზრუნველყოფს „გამჭვირვალე, სამართლიან და ობიექტურ პროცედურებს“. შეფასების ყველა კომპონენტი სტუდენტებს წინასწარ ეცნობებათ.

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი მოიცავს ამ კურსის სწავლის შედეგებს; შეფასების კომპონენტებსა და მათ ხვედრით წონას; შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკებს; ასევე სასწავლო კურსის შინაარსისა და საფეხურის შესაბამის მეთოდებს. შეფასების მეთოდები მოიცავს წერით გამოცდებს; პრაქტიკულ ლაბორატორიულ შეფასებებს; პრეზენტაციებსა და ზეპირ გამოცდებს; ესეებსა და ანალიტიკურ ანგარიშებს; შესრულებაზე დაკვირვებას სამხედრო და საველე წვრთნებისას; ასევე მიმდინარე შეფასებას ქვიზების და დავალებების საშუალებით.

პროგრამა უზრუნველყოფილია უკუკავშირის სტრუქტურირებული მექანიზმებით. ლექტორები დავალებებთან დაკავშირებით სტუდენტებს აძლევენ წერით და ზეპირ უკუკავშირს. Moodle გამოიყენება შეფასებების, კომენტარებისა და გაუმჯობესების შესახებ რჩევების მისაწოდებლად. სტუდენტები იღებენ მითითებებს საკუთარი აკადემიური შედეგების გაუმჯობესების თაობაზე. კონსულტაციები აკადემიური მხარდაჭერისთვის ხელმისაწვდომია.

აკადემიაში ფუნქციონირებს აპელაციის ფორმალური და გამჭვირვალე მექანიზმი. სტუდენტებს შეუძლიათ მოითხოვონ შეფასების განმარტება, წარადგინონ ოფიციალური საჩივარი ან, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვონ ნაშრომის სხვა შემფასებლის მიერ გადახედვა. პროცესი გამჭვირვალე და ობიექტურია.

აკადემია სისტემატურად აანალიზებს შეფასების შედეგებს სწავლებისა და პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ეს მოიცავს შეფასებების განაწილების ანალიზს, შეფასების ვალიდურობისა და სანდოობის მონიტორინგს, მოსალოდნელი აკადემიური შედეგების მოდელებიდან გადახრების დადგენა და ანომალიების გამოვლენის შემთხვევაში შეფასების მეთოდების გადახედვას. მონიტორინგის ინსტრუმენტად გამოიყენება გაუსის განაწილება: 20%-ზე მეტი გადახრა იწვევს სწავლის შედეგებისა და შეფასების მეთოდების გადახედვას.

აკადემიას გააჩნია პლაგიატის გამოვლენის, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვისა და სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის ეთიკური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები და დამხმარე ინსტრუმენტები.

Moodle და სხვა ციფრული ინსტრუმენტები ხელს უწყობს ონლაინ შეფასებების განხორციელებას, დავალებების წარდგენასა და სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგს. შესაბამისად, ონლაინ შეფასებები ინარჩუნებს სანდოობასა და ვალიდობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი
- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიის ვებგვერდი: www.eta.edu.ge
- ინტერვიუები

[რეკომენდაციები](#).

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4. სტუდენტების შეფასება:	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ნათელია, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესისა და სასწავლო გეგმის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას. დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია იუნკერთა მხარდაჭერის მექანიზმები.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს იუნკერთა ინტეგრირებასა და ადაპტირებას ინსტიტუციურ გარემოში. იუნკერთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაწესებულებაში სრულად არის დაცული და უზრუნველყოფილი. იუნკერები იცნობენ თავიანთ უფლებებს, ასევე უნივერსიტეტის აკადემიურ და ეთიკის კოდექსებს.

როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პერსონალი იუნკერებს სრულ და დეტალურ ინფორმაციას აწვდის სასწავლო გეგმის, საგანმანათლებლო პროცესისა და სხვა მნიშვნელოვანი აკადემიური საკითხების

შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, ლექტორებთან კონსულტაციები სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრულ სამუშაო საათებში ტარდება. იუნკერების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მათ აქვთ მჭიდრო და პირდაპირი კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო კურსების ლექტორებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.

დაწესებულება მჭიდრო თანამშრომლობას ინარჩუნებს დამსაქმებლებთან. აღინიშნა, რომ ყველა კურსდამთავრებული დასაქმებულია სხვადასხვა სფეროში, რის შედეგადაც დასაქმების მაჩვენებელი 100%-ს შეადგენს. უნივერსიტეტი აქტიურად უწევს ორგანიზებას სხვადასხვა ღონისძიებას, საჯარო ლექციასა და ტრენინგს, რაც იუნკერთა განათლებასა და კარიერულ განვითარებას უწყობს ხელს. იუნკერებმა აღნიშნეს,რომ საჯარო ლექციებსა და ტრენინგებს ხშირად ატარებენ მაღალი რანგის მოწვეული უცხოელი სამხედრო და სამოქალაქო ექსპერტები.

აკადემია, საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში, ხელს უწყობს იუნკერთა მონაწილეობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებში. აკადემიას აქვს კვლევითი ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს იუნკერთა ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას ასეთი შესაძლებლობების შესახებ. იუნკერებმა აღნიშნეს, რომ აკადემიაში რეგულარულად ტარდება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციები, ხოლო კონფერენციების დასრულების შემდეგ ქვეყნდება შრომების კრებულები. აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია იუნკერებს აქტიურად მიეწოდებათ ვებგვერდის, სოციალური მედიის პლატფორმებისა და პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებით.

დაწესებულება ჩართულია Erasmus+ პროგრამაში და საერთაშორისო დონეზე არაერთ პარტნიორ უნივერსიტეტთან თანამშრომლობს; რაც დამატებით შესაძლებლობებს ქმნის პროგრამის განვითარებისა და იუნკერთა უნარების გაუმჯობესებისათვის.

დაწესებულება მხარს უჭერს სტუდენტურ აქტივობებს და ხელს უწყობს მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებას. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში ფორმალური სტუდენტური თვითმმართველობა არ არსებობს, აკადემიის ფარგლებში ორგანიზებულია სტუდენტური აქტივობებისა და ღონისძიებების ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავს კულტურულ, სპორტულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს. იუნკერთა თქმით, აღნიშნული აქტივობები სრულად შეესაბამება მათ ინტერესებს.

ასევე აღინიშნა, რომ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე იუნკერები სემესტრულ სტიპენდიას, ფინანსურ მხარდაჭერას იღებენ, რაც წახალისებისა და მხარდაჭერის დამატებით მექანიზმს წარმოადგენს.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ აკადემიაში სახეზეა აკადემიური მხარდაჭერის კარგად სტრუქტურირებული სისტემა, ასევე ეფექტური კომუნიკაცია პერსონალსა და იუნკერებს შორის, ძლიერი კავშირები დამსაქმებლებთან და აქტიური ჩართულობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო აკადემიურ და კვლევით საქმიანობაში. აკადემია ასევე სთავაზობს იუნკერთა განვითარების სხვადასხვა მექანიზმებს, მათ შორის სტიპენდიებსა და ექსტრაკურიკულურ შესაძლებლობებს, რაც ხელს უწყობს მათ საერთო აკადემიურ და პროფესიულ ზრდას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ეთიკის კოდექსი
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- იუნკერთა საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული პერსონალის დატვირთვა, ფუნქციები და პასუხისმგებლობები, მათ შორის მათი სამუშაო აღწერილობები; N6.3; N6.4; N6.5.
- დოკუმენტები/ინფორმაცია სტუდენტების ჩართულობის შესახებ ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში; N9
- თვითშეფასების ანგარიში
- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
- ვებ-გვერდი

[რეკომენდაციები](#).

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია

3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კიბერსივრცის ოპერაციებისა და ინფორმაციის უსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამა აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალისგან შემდგარი გუნდის მიერ ხორციელდება, რომელშიც შედის 6 აკადემიური, 7 მოწვეული და 5 სამეცნიერო პერსონალი. პროგრამას ხელს უწყობს პრაქტიკული და კვლევითი გამოცდილების მქონე პროფესიონალების ჩართულობა.

ამავდროულად, პერსონალის კვალიფიკაციების ანალიზი მიუთითებს, რომ პროგრამის ამოქმედებამდე სასურველია პერსონალის დარგობრივი აკადემიური კომპონენტის შემდგომი გაძლიერება. კერძოდ, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალს შორის მხოლოდ 3 პირს აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი კიბერსივრცის ოპერაციებსა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან ანდა კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციის უსაფრთხოებისთვის რელევანტურ მონათესავე დისციპლინებთან უშუალოდ დაკავშირებული მიმართულებით.

რაოდენობრივი ინდიკატორები, მათ შორის პერსონალისა და სტუდენტების თანაფარდობა, დატვირთვის განაწილება და პერსონალის დენადობის ანალიზი, აჩვენებს, რომ პროგრამას გააჩნია ადეკვატური აკადემიური და ადამიანური რესურსები მისი საწყისი განხორციელების უზრუნველსაყოფად. ვინაიდან აკადემია იყენებს დატვირთვის განაწილების სემესტრულ მოდელს, რომელიც მოიცავს სწავლებას, კვლევას,

კონსულტაციებსა და სხვა ინსტიტუციურ პასუხისმგებლობებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურ წარმართვას, სასურველია, პროგრამის განხორციელებიდან სულ მცირე ერთი სემესტრის შემდეგ განხორციელდეს აკადემიური პერსონალის დატვირთვის განაწილების უფრო სიღრმისეული მიმოხილვა, განსაკუთრებით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მათ ვალდებულებებთან მიმართებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს გრძელვადიანი მდგრადობა და დატვირთვის დაბალანსებული მართვა.

პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს შესაბამის აკადემიურ და პროფესიულ კვალიფიკაციას, რაც სრულად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს პროგრამის შეფასებაში, განვითარებასა და განხორციელებაში, ასევე სტუდენტთა კონსულტირებასა და ექსტრაკურიკულურ აქტივობებში. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელი უშუალოდ არის ჩართული საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრირებასა და კოორდინირებაში, რითაც ხელს უწყობს პროგრამის ეფექტურ მართვასა და უწყვეტ განვითარებას.

საბაკალავრო საფეხურის იუნკერების მხარსდასაჭერად დაწესებულებას ჰყავს კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკმარისი რაოდენობა, რომელთა კვალიფიკაცია, გამოცდილება და კომპეტენციები სრულად შეესაბამება მათ პასუხისმგებლობებს. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი უზრუნველყოფს ეფექტურ აკადემიურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას, რაც ხელს უწყობს პროგრამის შეუფერხებელ ფუნქციონირებასა და წარმატებით განხორციელებას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [5]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	6	1	3	6
- პროფესორი	1	-	1	1
- ასოცირებული პროფესორი	3	-	2	3
- ასისტენტ–პროფესორი	2	1	-	2
- ასისტენტი	0			0
მოწვეული პერსონალი	7	-	2	_

[5]ძირითადი
სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სამეცნიერო პერსონალი	5	-	1	_
მათ შორის, საერთაშორისო პერსონალი	1	-	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუების შედეგები.
- თვითშეფასების დოკუმენტი,
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

[რეკომენდაციები](#).

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

S4.1.1 სასურველია, მეორე, მესამე და მეოთხე სემესტრებში, დაწესებულებამ განიხილოს მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალს შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის წილის შემდგომი გაძლიერება, განსაკუთრებით კიბერსივრცის ოპერაციების, კიბერუსაფრთხოების, ინფორმაციის უსაფრთხოებისა და მათთან მომიჯნავე დისციპლინების მიმართულებით.

S4.1.2 სასურველია, პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, აკადემიური პერსონალის დატვირთვის ბალანსის და პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად, პირველი სემესტრის შემდეგ ჩატარდეს აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვის განაწილების სტრუქტურირებული გადახედვა და განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მათ სასწავლო და პროფესიულ ვალდებულებებზე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. **შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.1. ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ აკადემიაში ეფექტური ინსტიტუციური მექანიზმებია ჩამოყალიბებული პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პროფესიული, აკადემიური და სამეცნიერო განვითარების მხარდასაჭერად. ინტერვიუების ანალიზი მიუთითებს, რომ აკადემია ხელს უწყობს მხარდაჭერის სულისკვეთებით გამსჭვალულ აკადემიურ და კვლევით გარემოს შენარჩუნებას, რომელიც ახალისებს აქტიურ ჩართულობას სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში, კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებსა და პროფესიული განვითარების სხვადასხვაგვარ ინიციატივებში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს აკადემიის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებით გაწეულ ძლიერ ინსტიტუციურ და ფინანსურ მხარდაჭერაზე. გამოკითხული პერსონალის ინფორმაციით, აკადემია აქტიურად უჭერს მხარს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, როგორც კონფერენციებში მონაწილეობის, ისე სწავლის საფასურის დაფარვის გზით. გარდა ამისა, დაწესებულება მხარს უჭერს სამეცნიერო პუბლიკაციებისა და კვლევის შედეგების დისემინაციის აქტივობებს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის, აკადემიური პროდუქტიულობისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას.

ანალიზმა ასევე გამოავლინა, რომ აკადემიაში დანერგილი პერსონალის შეფასების სისტემა ყოვლისმომცველია და ეფექტურად უკავშირდება პროფესიულ განვითარებას, მოტივაციასა და ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა, რომ შეფასების პროცესი მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და დატვირთვის შესრულების შეფასებას. მიღებული შეფასების შედეგები გამოიყენება კარიერული განვითარების, პროფესიული ზრდისა და სხვადასხვა წამახალისებელი მექანიზმისთვის, რომელიც ასევე მოიცავს წახალისების ფინანსურ და არაფინანსურ ფორმებსაც.

ინტერვიუების დროს ასევე დადასტურდა, რომ აკადემია უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისთვის საჭირო ადეკვატური ინსტიტუციური, საინფორმაციო, ფინანსური და საბიბლიოთეკო რესურსების მიწოდებასაც. გარდა ამისა, აკადემია აქტიურად უჭერს მხარს სწავლების, სწავლისა და შეფასების თანამედროვე მიდგომების ინტეგრირებას უწყვეტი პროფესიული განვითარების ინიციატივებისა და ტრენინგ-პროგრამების საშუალებით, რომელთა შორისაცაა „ეფექტური სწავლება“ და „ტრენერთა ტრენინგი (ToT)“.

ინტერვიუები და შესწავლილი მტკიცებულებები აჩვენებს აკადემიის ინსტიტუციურ ძალისხმევას პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის უწყვეტი პროფესიული და სამეცნიერო განვითარების მიმართულებით. მხარდაჭერის არსებული მექანიზმები ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, კვლევითი პროდუქტიულობის ზრდასა და დაწესებულებაში ხარისხის მდგრადი კულტურის ჩამოყალიბებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები;
- დოკუმენტი - აკადემიის შინაგანაწესი (დანართი 7);
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის აღმწერი დოკუმენტი (დანართი 9);
- საერთაშორისო თანამშრომლობის აღმწერი დოკუმენტები (დანართი 9).

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი

საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში განხორციელებული ადგილზე ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია კარგად განვითარებული საგანმანათლებლო, სამეცნიერო და მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურა, რომელიც ეფექტურად უჭერს მხარს პროგრამის განხორციელებას და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. აკადემიის ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო სივრცეები და ტექნოლოგიური გარემო თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და ნატოს მოთხოვნების შესაბამისია.

ვიზიტის დროს დადასტურდა თანამედროვე სალექციო აუდიტორიების, ასევე საკმაოდ თანამედროვე და კარგად აღჭურვილი ლაბორატორიების, კომპიუტერული რესურსცენტრების, სიმულაციური სივრცეების, საგამოცდო ინფრასტრუქტურის, საბიბლიოთეკო სივრცეებისა და სპორტული და რეკრეაციული ზონების არსებობა. სასწავლო სივრცეების მდგომარეობა და ფუნქციონალურობა დადებითად შეფასდა, რადგან ყველა სივრცე აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, მათ შორის სმარტ-დაფებით, პროექტორებით, კომპიუტერებითა და სწავლება-სწავლისთვის საჭირო სხვა ინსტრუმენტებით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აკადემიის ციფრულ და ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას. დადასტურდა ILIAS ელექტრონული სწავლების პლატფორმის დანერგვა და თანამედროვე, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საგამოცდო ცენტრის ფუნქციონირება, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის ხარისხის, ეფექტიანობისა და ობიექტურობის გაუმჯობესებას. ასევე ნათლად გამოვლინდა დაწესებულების მზაობა მხარი დაუჭიროს დისტანციურ და ჰიბრიდულ სწავლებას.

ვიზიტმა ასევე დაადასტურა, რომ ბოლო წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული მოდერნიზება, მათ შორის განახლდა აკადემიური შენობები, განვითარდა ლაბორატორიული და ინოვაციური სივრცეები, გაუმჯობესდა სპორტული და რეკრეაციული სივრცეები. ასევე მოეწყო შემეცნებითი და სამუზეუმო სივრცეები. აღნიშნული ერთობლივად ქმნის თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც შესაბამისობაშია დაწესებულების სტრატეგიულ მიზნებთან.

ბიბლიოთეკაში ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურა ყოვლისმომცველი, თანამედროვე და სრულად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკაში შემოთავაზებულია ფართო ბეჭდური და ელექტრონული კოლექციები, სასწავლო და IT სივრცეები, ციფრული კატალოგის სისტემები, უკაბელო ინტერნეტი და ასევე წვდომა საერთაშორისო

სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე. სილაბუსებში მითითებული ყველა საკითხავი მასალა ხელმისაწვდომია ელექტრონულად.

დამატებით გამოვლინდა, რომ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდება ადეკვატური ტექნოლოგიური და საინფორმაციო მხარდაჭერის სერვისები, მათ შორის ელექტრონულ სასწავლო პლატფორმებზე, Office 365-ის სერვისებსა და ინსტიტუციურ ციფრულ სისტემებზე წვდომა. სტუდენტებისთვის ლეპტოპების გადაცემა დამატებით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ხელმისაწვდომობასა და უწყვეტობას.

ფიზიკურმა ვიზიტმა დაადასტურა, რომ აკადემია სთავაზობს თანამედროვე, კარგად აღჭურვილ და სტუდენტზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემოს. არსებული მატერიალური, ტექნიკური, საბიბლიოთეკო და ციფრული რესურსები სრულად უჭერს მხარს პროგრამის ეფექტურ განხორციელებას და აჩვენებს დაწესებულების ძალისხმევას უწყვეტი გაუმჯობესებისა და ხარისხის გაძლიერების მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულებაში ვიზიტი;
- ვირტუალური ტური: https://eta.edu.ge/360/
- ინტერვიუების შედეგები;
- საბიბლიოთეკო რესურსები

[რეკომენდაციები](#).

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

S4.4.1 სასურველია, პროგრამის განხორციელების საწყის ეტაპზე უზრუნველყოფილ იქნეს წვდომა ქართულენოვან ბაზარზე კიბერუსაფრთხოების სფეროში არსებულ მაღალი ხარისხის მქონე სახელმძღვანელოებზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა ფინანსურად მდგრადია და მხარს უჭერს აკადემიის ბიუჯეტი და ინსტიტუციური რესურსები. ფინანსური დაგეგმვა ითვალისწინებს პროგრამის აკადემიურ, ტექნიკურ და პრაქტიკულ საჭიროებებს. რესურსები გამოყოფილია სასწავლო აქტივობებისთვის, სასწავლო მასალებისთვის, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურისთვის, პრაქტიკული სამხედრო მომზადებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისებისთვის.

აკადემია უზრუნველყოფს თანამედროვე საგანმანათლებლო რესურსებს, მათ შორის კომპიუტერულ აღჭურვილობას, ციფრულ სასწავლო სისტემებს, სპეციალიზებულ პროგრამებს და პრაქტიკული მომზადების შესაძლებლობებს. ფინანსური მხარდაჭერა ასევე უზრუნველყოფს სწავლება-სწავლის რესურსების უწყვეტ განვითარებასა და პროგრამის ეფექტურ განხორციელებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამას გააჩნია ადეკვატური ფინანსური მხარდაჭერა და რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურ, უწყვეტ და ეფექტურ განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ-ს ბიუჯეტი
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი.
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ყველა ეტაპზე, მათ შორის პროგრამის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზის პროცესებში. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართულები არიან სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, მათ შორის აკადემიური პერსონალი, იუნკერები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროგრამის მენეჯერები და ადმინისტრაციული პერსონალი, რაც ხელს უწყობს ეფექტურ კომუნიკაციასა და პროგრამის განვითარებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ატარებს გამოკითხვებს, პროგრამის შეფასებებსა და შედარებით ანალიზს მსგავს ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებთან. აღნიშნული შეფასებების შედეგები განიხილება და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით. პროგრამის პერსონალი შეფასების შედეგებს ითვალისწინებს შემდგომი განვითარების აქტივობების დაგეგმვისას.

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება PDCA-ის (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე) პრინციპს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესების უწყვეტ მონიტორინგს, შეფასებასა და გაუმჯობესებას. აკადემიას ასევე აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო,

რომელიც წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობას და შესაბამისობაშია ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან.

საერთო ჯამში, პროგრამას გააჩნია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კარგად ორგანიზებული და ეფექტური სისტემა. პროგრამის პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის თანამშრომლობა ხელს უწყობს პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას და უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას საგანმანათლებლო სტანდარტებთან და დაინტერესებული მხარეების საჭიროებებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ანალიზის დოკუმენტი
- უსდ-ს მიერ ჩატარებული იუნკერთა კვლევის შედეგები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემია აქტიურად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. ავტორიზაციისა და აკრედიტაციისა პროცესებში მიღებული რეკომენდაციები ყურადღებით განიხილება და გათვალისწინებულია პროგრამების განვითარებისა და

გაუმჯობესების აქტივობებში. აკადემია აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე გეგმავს შემდგომ ქმედებებს და უწყვეტად მუშაობს გასაუმჯობესებელ მიმართულებებზე.

აკადემიას გააჩნია გარე შეფასების პროცესებში მონაწილეობის მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელიც მოიცავს ავტორიზაციას, კლასტერულ აკრედიტაციასა და საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების რეაკრედიტაციას. ინფორმატიკის პროგრამის წარმატებული აკრედიტაცია და საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ახალი სამაგისტრო პროგრამის შემოღება ადასტურებს დაწესებულების აქტიურ ჩართულობას ხარისხის გაუმჯობესების პროცესებში.

აკადემია ასევე იყენებს SWOT ანალიზსა და PDCA (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე) მოდელს ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებისა და პროგრამის ხარისხის სისტემურად გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პროგრამის უწყვეტ განვითარებასა და მომავალი აკრედიტაციის პროცესებისთვის მომზადებას.

ფორმალური აკრედიტაციის მექანიზმების გარდა, აკადემია იღებს უკუკავშირს სხვა უნივერსიტეტებისა და გარე ექსპერტებისგან. პროგრამის მასალები ეგზავნება შესაბამის დაწესებულებებს, ხოლო მიღებული რეკომენდაციები განიხილება და, საჭიროების შემთხვევაში, ინტეგრირდება პროგრამის გაუმჯობესების აქტივობებში.

აკადემია ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს NATO DEEP-ის ექსპერტებთან, რომლებიც მხარს უჭერენ პროგრამის განვითარებასა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტრო, მათ შორის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი და თავდაცვის ძალების წარმომადგენლები, აქტიურად მონაწილეობენ პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცესებში. აღნიშნული თანამშრომლობა ხელს უწყობს პროგრამის შესაბამისობას თავდაცვის სექტორის საჭიროებებსა და მოქმედ პროფესიულ სტანდარტებთან.

საერთო ჯამში, პროგრამა ეფექტურად იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებსა და რეკომენდაციებს უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით. გარე ექსპერტებთან, უნივერსიტეტებთან, NATO DEEP-თან და თავდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობა ხელს უწყობს პროგრამის ხარისხსა და განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება.
- განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება
- ინტერვიუების შედეგები

[რეკომენდაციები](#).

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[5.2. გარე ხარისხის შეფასება](#)	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული განხილვის პროცესი კარგად არის ორგანიზებული და მასში ჩართულები არიან აკადემიური პერსონალი, მოწვეული ლექტორები, ადმინისტრაციული პერსონალი, იუნკერები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. ინფორმაცია რეგულარულად გროვდება გამოკითხვების, ლექციებზე დაკვირვების, პროგრამის ანალიზის, მონიტორინგის აქტივობებისა და გარე შეფასებების საშუალებით. შეგროვებული მონაცემები მუშავდება და ანალიზდება პროგრამისა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

აკადემია პროგრამის მონიტორინგისთვის იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის რამდენიმე მექანიზმს, მათ შორის კოლეგიალურ შეფასებას, ლექციებზე დაკვირვებას, საქმიანობის მონიტორინგსა და გამოკითხვებს. აკადემიური პერსონალი ესწრება და აფასებს ერთმანეთის ლექციებს დაკვირვების წინასწარ დამტკიცებული ფორმების გამოყენებით, რაც ხელს უწყობს როგორც ძლიერი მხარეების, ისე გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. აღნიშნულ პროცესში აქტიურად არიან ჩართული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის მენეჯერები და სხვა რელევანტური პირები.

სტუდენტები ასევე აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის შეფასებაში. იუნკერები კითხვარების და შეხვედრების საშუალებით აფასებენ სასწავლო კურსებს, სწავლების ხარისხსა და საგანმანათლებლო რესურსებს. კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები ასევე ჩართულები არიან პროგრამის ეფექტურობისა და სწავლის შედეგების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებაში. აღნიშნული ჯგუფებისგან მიღებული უკუკავშირი განიხილება და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის.

აკადემია რეგულარულად ადარებს პროგრამას მსგავს ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის თანადროულობა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობა. გამოცდილ აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის კოორდინატორებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან თანამშრომლობა ხელს უწყობს პროგრამის უწყვეტ განვითარებასა და მოდერნიზებას.

აკადემიური მოსწრების მონიტორინგი პროგრამის შეფასების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. აკადემია აანალიზებს სტუდენტთა აკადემიურ შედეგებს სასწავლო კურსების სირთულის დონის, შეფასების მეთოდების ეფექტურობის, სწავლების ხარისხისა და სტუდენტთა მომზადების შესაფასებლად. აღნიშნული ანალიზების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, იგეგმება გაუმჯობესებისა და კორექციული ღონისძიებები.
აკადემიაში ასევე ჩამოყალიბებულია აკადემიური, სამეცნიერო, სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის შეფასების სისტემები. პერსონალის შეფასება ხორციელდება დამტკიცებული რეგულაციებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისად, რაც ხელს უწყობს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების გაუმჯობესებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროგრამის მონიტორინგსა და ხარისხის გაუმჯობესებაში. აკადემია იყენებს PDCA (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - იმოქმედე) მოდელს, რაც ხელს უწყობს უწყვეტ შეფასებას, გაუმჯობესებასა და გამოვლენილ გამოწვევებზე ეფექტურ რეაგირებას. კვლევის შედეგებსა და მონიტორინგის ანგარიშებს განიხილავს აკადემიის ხელმძღვანელობა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც შემდგომში გეგმავენ და ახორციელებენ გაუმჯობესების ღონისძიებებს.

საერთო ჯამში, პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების სისტემა ყოვლისმომცველი და ეფექტურია. დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა, მონაცემთა რეგულარული შეგროვება და ანალიზი, ლექციებზე დაკვირვება და უწყვეტი უკუკავშირის მექანიზმები ხელს უწყობს პროგრამის

გაუმჯობესებას და უზრუნველყოფს, რომ პროგრამა იყოს თანამედროვე, რელევანტური და შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო და შრომის ბაზრის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები;
- უსდ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა კვლევის შედეგები
- სასწავლო კურსის/საგნის შეფასებისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები.
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები.

- არ ეხება

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ ეხება

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია